ᲡᲡᲘᲞ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ
ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝ
ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ № 01-05-04/138

Ქ. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

18 ივნისი 2018

**საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირებული სახით დამტკიცების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, სტუ-ის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის დეკანის, პროფ. ა. აბშილავას მოხსენებითი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2018 წლის 18 ივნისის №01-05-02/11 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. მოდიფიცირებული სახით დამტკიცდეს ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „გეოლოგია“;
2. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე;
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6.

დადგენილებას თან ერთვის: სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმიდან ამონაწერი (იხ. დანართი).

**აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე** **ა. ფრანგიშვილი**

**აკადემიური საბჭოს მდივანი** **გ. სალუქვაძე**